# კურიკულუმი

| | |
|---|---|
| **პროგრამის დასახელება** | საჯარო მმართველობა |
| **მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/ კვალიფიკაცია** | სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი<br>**MA IN Social Science** |
| **ფაკულტეტის დასახელება** | ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი |
| **პროგრამის ხელმძღვანელი/ ხელმძღვანელები/ კოორდინატორი** | დავით გეგეჭკორი, სოციალური მეცნიერებების დეპარტამენტის პროფესორი |
| **პროგრამის ხანგრძლივობა/ მოცულობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)** | პროგრამის ხანგრძლივობა - 2 სასწავლო წელი, 4 სემესტრი.<br>კრედიტების რაოდენობა - 120ECTS კრედიტი(major/minor).<br>• 105 კრედიტი – ზოგადი სავალდებულო სასწავლო კურსები;<br>• 15 კრედიტი – არჩევითი სასწავლო კურსები, |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **პროგრამის შემუშავებისა და განახლების თარიღები;** | |

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)**

პროგრამაზე დაიშვება ბაკალავრის აკადემიური ხარისხისადა მასთან გათანაბრებული სტატუსის მქონე პირი, რომელიც ჩააბარებს საერთო სამაგისტრო გამოცდას და პროგრამაზე მისაღებ საუნივერსიტეტო გამოცდას სპეციალობაში.

**პროგრამის მიზნები**

სამაგისტრო პროგრამის მიზანია თეორიული მასალების, ისტორიული წყაროებისა და მრავალფეროვანი თეორიული მიდგომების ანალიზის საფუძველზე მოამზადოს სპეციალისტები და ანალიტიკოსები სოციალური მეცნიერებების სფეროში. პროგრამაში მოცემული სალექციო კურსები წარმოდგენილია კონკრეტული წყაროებისა და სოციალური მეცნიერებების თანამედროვე მიღწევების ანალიზის საფუძველზე, რაც გვაძლევს საჯარო მმართველობის სხვადასხვა მნიშვნელოვანი ასპექტების კვლევის საშუალებას. მაგისტრანტი შეისწავლის შესაბამისი დისციპლინების კომპლექსს_საერთაშორისო ურთიერთობების თეორიას, დიპლომატიის ისტორიას, საერთაშორისო სამართლის საფუძვლებს, პოლიტიკურ მეცნიერებებს. სამაგისტრო პროგრამა მაგისტრანტს გამოუმუშავებს დამოუკიდებელ სამეცნიერო კვლევითი მუშაობის უნარს. იგი ამზადებს სპეციალისტებს შემდგომი კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის. სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს მომავალი საჯარო მოხელეების მომზადებას.

**სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა** - „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო პროგრამის წარმატებით გავლა კურსდამთავრებულს უქმნის მყარ საფუძველს სწავლების შემდგომ საფეხურზე - დოქტორანტურაში სწავლის გასაგრძელებლად.

**სწავლის შედეგები ( ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები)**

| | |
|---|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** | კურსდამთავრებულს საფუძვლიანად აქვს შესწავლილი პოლიტიკური მეცნიერებების ცნებით-კატეგორიული აპარატი, საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის მეთოდოლოგია; იდეოლოგიებისა და მსოფლიო პოლიტიკური პროცესების მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, საერთაშორისო სამართლის ძირითადი კონვენციები, საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ურთიერთდამოკიდებულება, საერთაშორისო პოლიტიკური ტენდენციებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემების მიზეზები და შედეგები, ეროვნული და რეგიონული პოლიტიკის თავისებურებები და მსოფლიო პოლიტიკურ ტენდენციებთან მათი ურთიერთკავშირი. |

| | |
|---|---|
| ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | კურსდამთავრებულს თავისუფლად შეუძლია პროფესიული ტერმინოლოგიისა და მეთოდების გამოყენება კვლევის წარმოებისას, გლობალური, რეგიონული, ეროვნული პოლიტიკური მოვლენების ანალიზი, საჯარო მმართველობის სხვა სოციალურ მეცნიერებებთან დაკავშირება, მრავალმხრივი დარგობრივი ინფორმაციის დამუშავება და კლასიფიცირება<br>საერთაშორისო პოლიტიკური ტენდენციებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემების გაანალიზება, საერთაშორისო ორგანიზაციების როლის შესწავლა საერთაშორისო ურთიერთობებში და მათი საქმიანობის სპეციფიკა, ეროვნული და რეგიონული პოლიტიკის თავისებურებების გათვალისწინება და მათი ურთიერთკავშირი პოლიტიკურ ტენდენციებთან. |
| დასკვნის უნარი | საკუთარი მოსაზრების ლოგიკურად ჩამოყალიბება და არგუმენტირებული მსჯელობა; დისკუსიის წარმართვის უნარი, საკუთარი მოსაზრების დაცვისა და სხვისი აზრის პატივისცემა, მსჯელობის ლოგიკის წვდომა, მრავალმხრივი დარგობრივი ინფორმაციის მიმართ კრიტიკული და ანალიტიკური დამოკიდებულება, ინტერპრეტაციის უნარი. |
| კომუნიკაციის უნარი | • პროფესიული ინფორმაციის მოპოვების მიზნით თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების თავისუფლად გამოყენების უნარი.<br>• სახელმწიფო ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით ცოდნის დამაჯერებლად და დასაბუთებულად წარმოჩენის უნარი.<br>• კომუნიკაბელურობა, გუნდური და ინდივიდუალური მუშაობის უნარი, ცვალებად გარემოსთან შეგუებისა და ზეგეგმიური მუშაობის უნარი;<br>• საჯარო, კერძო და არასამთავრობო სტრუქტურებთან პროფესიული ურთიერთობებისა და ინფორმაციის გაცვლის უნარი |
| სწავლის უნარი | • დარგობრივი ინფორმაციის დამოუკიდებლად მოპოვების უნარი.<br>• დამოუკიდებელი მუშაობის ეფექტურად დაგეგმვის უნარი.<br>• დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით პროფესიული ცოდნის განახლებისა და პროფესიული განვითარების უნარი. |
| ღირებულებები | • ზოგად საკაცობრიო იდეების და მიღწეევების დაცვა და პატივისცემა<br>• ეროვნული ფასეულობების და ღირებულებების, ტრადიციების დაცვა და პატივისცემა<br>• ახალი ფასეულობების და ღირებულებების ფორმირებაში და მათ დამკვიდრებაში მონაწილეობის სწრაფვა და სურვილი<br>• სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი გამოირჩევა მარალი სამოქალაქო შეგნებით და პროფესიული აქტიურობით, ეთიკით და კულტურით, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისადმი ფრთხილი დამოკიდებულებით, პატიოსნებით და ღირსებით, პასუხისმგებლობის გრძნობით, საწირო ნებისა და თანმიმდევრობის გამომჟღავნებით, საკუთარი პროფესიის არსის და სოციალური ღირებულებების და დანიშნულების კარგი გააზრებით. |

**სწავლების მეთოდები**

სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება შემდეგი მეთოდები: ლექცია, მინი ლექცია სემინარი, პრაქტიკულისიტუაციების ანალიზი და სიმულაციები, საქმიანითამაშები, გონებრივი იერიში, მოზაიკა, პროვოცირება, ვენის დიაგრამა, აზრობრივი რუკა, ვიცოდი-მინდა ვიცოდე-ვისწავლე, პროვოცირება, მოლოდინის ხე.

მიღწეული სწავლის შედეგების გაზომვისას გამოიყენება როგორც მაფორმირებელი ისეშემაჯამებელი შეფასების ფორმები - საშინაო დავალებები, ტესტები, ზეპირი და წერითიგამოცდა, პრეზენტაცია, ესეები, ქვიზები, სიტუაციური ამოცანები, პროვოცირება, წყვილებში მუშაობა, აკვარიუმი, პორტფოლიო, პროფესიული პრაქტიკის ანგარიშები, საკონფერენციო და სამაგისტრონაშრომები და სხვა.

- სწავლის სასურველი შედეგის მიღწევის პროცესის მართვისათვისშესაძლებელია სტუდენტმა დამატებით

მიმართოს პედაგოგს (საკონსულტაციო დრო მითითებულია ცალკეული კურსის სილაბუსში).

**პროგრამის სტრუქტურა**

პროგრამა შედგება 120 კრედიტისაგან. აქედან 70 კრედიტი სავალდებულო კურსები, 5 კრედიტი პრაქტიკა, 15 კრედიტი არჩევითი, 30 კრედიტი სამაგისტრო ნაშრომი.
**სასწავლო გეგმა იხ დანართი 1.**

**სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები/**

**აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული შეფასების სისტემა იყოფა შემდეგ კომპონენტებად:**
საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) შუალედური შეფასების ხვედრითი წილი შეადგენს ჯამურად 60 ქულას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს შემდეგი შეფასების ფორმებს:

- **სტუდენტის აქტივობა სასწავლო სემესტრის განმავლობაში*(მოიცავს შეფასების სხვადასხვა კომპონენტებს)*-30 ქულა;**
- **შუალედური გამოცდა- 30 ქულა;**
- **დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა.**

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელის შუალედური შეფასებების კომპონენტებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამურად შეადგენს არანაკლებ 18 ქულას.

**შეფასების სისტემა უშვებს:**
ა) **ხუთი სახის დადებით შეფასებას:**
ა.ა) **(A) ფრიადი** – შეფასების 91-100 ქულა;
ა.ბ) (**B) ძალიან კარგი** – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
ა.გ) (**C) კარგი –** მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
ა.დ) **(D) დამაკმაყოფილებელი** – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
**ა.ე) (E) საკმარისი** – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

**ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:**
**ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა** – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
**ბ.ბ) (F) ჩაიჭრა** – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში (აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ).

- დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის სტუდენტის საბოლოო შეფასება, რომელშიც არ მოიაზრება ძირითად დასკვნით გამოცდაზე მიღებული უარყოფითი ქულა.
- თუ სტუდენტმა დამატებით გამოცდაზე მიიღო 0-დან 50 ქულამდე, საბოლოო საგამოცდო უწყისში სტუდენტს უფორმდება შეფასება (F) -0 ქულა.
- დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების მინიმალური ზღვარი განისაზღვრება 15 ქულით.
- სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

***შენიშვნა:*** შუალედური და დასკვნითი (დამატებითი) გამოცდები ჩატარდება ფორმალიზებული წესით:
*საფუძველი:* საქართველოსგანათლებისადამეცნიერებისმინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება №3.

**სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმებიგანისაზღვრება სასწავლო კურსების სილაბუსით.**

**დასაქმების სფეროები**

პროგრამა უზრუნველყოფს მაგისტრის ხარისხის მქონე სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც სპეციალიზდებიან საჯარო მმართველობის და ზოგადად სოციალური მეცნიერებების სფეროში. მაგისტრს ხარისხის მქონეს შესაძლებლობა ექნება იმუშაოს აღნიშნული პრობლემატიკით დაკავებულ სასწავლო და

| |
|---|
| კვლევით დაწესებულებებში, სახელმწიფო და არასამთავრობო და სექტორში, საერთაშორისო ორგანიზაციებში და დიპლომატიურ კორპუსში. |
| **სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები** |
| **საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსები:** უნივერსიტეტს ემსახურება 4 პროფესორი და 11 ასოცირებული პროფესორი.<br>**საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსები:**<br>უნივერსიტეტის სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზი, კომპიუტერული ცენტრი. |

**დანართი 1**

**სასწავლო გეგმა**

**პროგრამის დასახელება:** *საჯარო მმართველობა*

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** *სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი*

| № | კურსის დასახელება | კ/კ | კრ* | დატვირთვის მოცულობა, სთ-ში | | | ლ/პ/ლაბ/გ | სემესტრი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | სულ | საკ | დამ | | I | II | III | IV |
| 1 | 2 | | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 |
| | **I. სავალდებულო სასწავლო კურსები** | | | | | | | | | | |
| I.1. | კვლევის მეთოდები | SPM0010 | 5 | 125 | 48 | 77 | 30/15/0/3 | x | | | |
| I.2. | საერთაშორისო უსაფრთხოება და საგარეო პოლიტიკა | SPM0020 | 5 | 125 | 48 | 77 | 30/15/0/3 | | x | | |
| I.3. | სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემა | SPM0030 | 5 | 125 | 48 | 77 | 30/15/0/3 | x | | | |
| I.4. | გეოპოლიტიკა და გეოპოლიტიკური თეორიები | SPM0040 | 5 | 125 | 48 | 77 | 30/15/0/3 | | x | | |
| I.5. | ევროინტეგრაცია: პრობლემები და პერსპექტივები | SPM0050 | 5 | 125 | 48 | 77 | 30/15/0/3 | | | x | |
| I.6. | ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობები და სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკა | SPM0010 | 5 | 125 | 48 | 77 | 30/15/0/3 | | x | | |
| I.7. | ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი | SLM0600 | 5 | 125 | 48 | 77 | 30/15/0/3 | | | x | |
| I.8. | სახელმწიფოს მართვა და ადგილობრივი თვითმმართველობა | SPM0060 | 5 | 125 | 48 | 77 | 30/15/0/3 | | x | | |
| I.9. | კოფლიქტები და მათი ტიპოლოგია | SPM0070 | 5 | 125 | 48 | 77 | 30/15/0/3 | | | x | |
| I.10. | სოციალიზმის თეორია და პრაქტიკა | SPM0080 | 5 | 125 | 48 | 77 | 30/15/0/3 | | | x | |
| I.11. | საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციები | SPM0090 | 5 | 125 | 48 | 77 | 30/15/0/3 | | x | | |
| I.12. | თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები | SPM0100 | 5 | 125 | 48 | 77 | 30/15/0/3 | x | | | |
| I.13. | პოლიტიკური ინსტიტუტები და პოლიტიკური პროცესი | SPM0110 | 5 | 125 | 48 | 77 | 30/15/0/3 | x | | | |
| I.14. | სოციოლოგიური კვლევები | SEM1180 | 5 | 125 | 40 | 85 | 30/15/0/3 | x | | | |
| I.15. | პროფესიული პრაქტიკა | | 5 | | | | | | | x | |
| | **სულ** | | **75** | | | | - | | | | |
| | **II. არჩევითი სასწავლო კურსები **** | | | | | | | | | | |
| II. 1. | უცხო ენა | HEM0811 | 5 | 125 | 48 | 77 | 30/15/0/3 | x | x | x | |
| II. 2. | საერთაშორისო ურთიერთობების იდეოლოგიები და თანამედროვე მსოფლიო | SPM0141 | 5 | 125 | 48 | 77 | 30/15/0/3 | x | | | |
| II. 3. | ქართული დიპლომატიისა და პლოიტიკური აზროვნების ისტორია | SPM0151 | 5 | 125 | 48 | 77 | 30/15/0/3 | | x | | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **II. 4.** | პოლიტიკის ფილოსოფია | SPM0161 | 5 | 125 | 48 | 77 | 30/15/0/3 | | | x | |
| **II. 5.** | ელიტიზმის კლასიკური თეორიები და პოლიტიკური ლიდერობა | SPM0171 | 5 | 125 | 48 | 77 | 30/15/0/3 | | | x | |
| | **სულ** | | **15** | | | | | | | | |
| **სამაგისტრო ნაშრომი** | | SPM0180 | **30** | | | | | | | | x |
| **სულ** | | | **120** | | | | | | | | |

გამოყენებულ შემოკლებათა განმარტება: **კრ**. - კრედიტი, **საკ** - საკონტაქტო, **დამ** - დამოუკიდებელი მუშაობა; **ლ/პ/ჯგ/გ** - ლექცია/პრაქტიკული/ჯგუფში მუშაობ, გამოცდა